გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ქვირფასო პირველკლასელებო, მოსწავლეებო, სტუდენტებო და პედაგოგებო!

ამ დღისთვის ბუნებრივად თანდევია სასიამოვნო განცდები, რადგან ბევრი თქვენგანისთვის დღეს იწყება ცხოვრების ახალი ეტაპი. თქვენ მხოლოდ ერთი მოვალეობა გაკისრიათ, ისწავლოთ და ცოდნა დააგროვოთ, სახელმწიფო კი ყოველთვის ხელს შეგიწყობთ საფუძვლიანი განათლების მიღებაში. სწორედ რომ განათლებული მოქალაქე თაობა არის ჩვენი ქვეყნის კეთილიდღეობის საწინდარი. გისურვებთ, მიგეღოთ საუკეთესო ცოდნა და გძონოდეთ ცხოვრების ულამაზესი წლები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
დავით დარჩია

ქვირფასო ოზურგეთელო მოსწავლეებო, პატივცემულო პედაგოგებო და მშობლებო!

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

დარწმუნებული ვარ, ეს წელი თითოეული თქვენგანისათვის კიდევ უფრო ნაყოფიერი, წარმატებული, სიახლეებით აღსავსე და საინტერესო იქნება. ამის თქმის საფუძველს საქართველოს მთავრობის მხრიდან განათლების სფეროზე განსაკუთრებული ზრუნვა მაძლევს. ზოგადი განათლება ჩვენი ხელისუფლებისათვის კვლავაც პრიორიტეტად რჩება. განსაკუთრებულად ბედნიერი წელი ყოფილიყოს ყველა პირველკლასელთათვის!

ზვიად კვაჭანტირაძე
თქვენი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში

ყველა მოსწავლეს, მასწავლებელს, აბიტურიენტს ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. განსაკუთრებულად ვგულშემატკივრობ პირველკლასელებს. სწავლის პირველი დღე დადებით ემოციებთან, სიახლეებთან ასოცირდება, ამიტომ პატარებს ყველა სკოლაში განსაკუთრებული გარემო უნდა დახვდეს. მომავალ თაობას ვუსურვებ წარმატებულ და ნაყოფიერ სასწავლო წელს. მუნიციპალიტეტი კი, თავის მხრივ, ყველაფერს გააკეთებს განათლების წახალისებისა და წარმატებული მოსწავლეების სტიმულირებისთვის.

. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი
მერაბ ჭანუყვაძე

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №36 (10126), 14 სექტემბერი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

სოსო ერქომაიშვილი: „მე მათ რესურსს აუცილებლად გამოვიყენებ“....

ალიონი. საკონკურსო - საატესტაციო გამოცდები 2 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში.

გურიის გუბერნატორის მოადგილის, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის სოსო ერქომაიშვილის თქმით, გუბერნიაში გამოცხადებულ 9 ვაკანსიაზე 151 აპლიკანტს ჰქონდა განაცხადი შეტანილი, აქედან მეორე ეტაპზე 131 პირი გადავიდა. გასაუბრება კონკურსის მონაწილეებთან ორ დღეს მიმდინარეობდა. მეორე დღეს გასაუბრებაზე ნაწილი აპლიკანტებისა, არ მოვიდა.

–ჩვენი დიდი სურვილია, რომ გუბერნიაც და ადმინისტრაციული ერთეულები კარგი კადრებით იყოს დაკომპლექტებული, რომ შემდეგ ეფექტური გახდეს მუშაობა. რომ შევაჯამოთ შედეგები, ამ მხრივ დამაკმაყოფილებელია. იყო ძლიერი კონკურენცია, მონაწილეები კარგად იყვნენ მომზადებულები და საუკეთესოებმა გაიმარჯვეს. ასე იყო მაგალითად საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე. აქ მაღალი კონკურენცია იყო. აპლიკანტები კარგად იყვნენ მომზადებულნი. გაიმარჯვა უფრო ძლიერმა.

გასაუბრებაზე იყო 10-15 აპლიკანტი, რომლებიც ასევე კარგად იყვნენ მომზადებულნი, მაგრამ ძლიერი

გვ-2

ზიარი ჭურჭელი, რომელშიც წყალი ერთ დონეზე არ დგას

„ალიონი“. საზიარო წყალსადენის გამო, ანასეულელ და ლიხაურელ მოსახლეობას შორის დავა წლების განმავლობაში მიმდინარეობს. მაგრამ ეს ის უცნაური შემთხვევაა, როცა ზიარ ჭურჭელში წყალი ერთ დონეზე არ დგას და აი რატომ: მიუხედავად იმისა, რომ მდინარე აჭისწყლის სათავე ნაგებობიდან წყალი ორი ერთნაირი დიამეტრის მილით გამოედინება, ლიხაურის მოსახლეობა ანასეულის მილს-ადენით სარგებლობს, თანაც ამ წყალს ძირითადად სარწყავად იყენებს, მაშინ, როცა ანასეულელები და ექადიის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც წყალს ამ წყალსადენით იღებს, ფაქტობრივად უწყლოდ რჩებიან. რამდენადაც გვახსოვს, საკითხის გადაჭრა წინა ხელისუფლებებმაც არაერთხელ სცადეს, მაგრამ რამდენჯერაც ჩაჭრეს უნებართვო მიერთებები, იმდენჯერვე აღადგინეს ადგილობრივებმა. თავნებობის განმკითხავი კი აღარავინ აღმოჩნდა. ამ პრობლემამ განსაკუთრებით იჩინა თავი წლევანდელ ცხელ და გვალვიან

ზაფხულში, სათავე ნაგებობაში წყლის მკვეთრი შემცირების გამო.

მოკლედ, უწყლოდ დარჩენილი ანასეულელები და ექადიელები, დახმარების იმედით, დღევანდელ ხელისუ-

გვ-2

მაღაზია „ნეპტუნი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წელს!

ინდმეწარმე „ავთანდილ ჭანუყვაძე“ მუდამ თქვენ სამსახურში!
მისამართი: ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ.№15.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ზიარი ჭურჭელი, რომელშიც წყალი ერთ დონეზე არ დგას

ფლებასაც მიადგნენ. საპასუხოდ კი, გასული კვირის ხუთშაბათს, 10 სექტემბერს გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე, ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე, ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე, გელა კობალაძე და ანასეული-ექადიის ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ქალაქის საკრებულოში ლავრენტი ბიგვავა ანასეულში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ.

როგორც შეხვედრაზე ქალაქის მერმა განაცხადა, ამ პრობლემის გადასაჭრელად ქალაქის მერია ყველა შესაძლო საშუალებას გამოიყენებს.

იმავე დღეს, საკითხის შესწავლისა და ოპტიმალური შედეგის მიღწევის მიზნით, მორიგი შეხვედრა გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში შედგა. შეხვედრას, მხარისა და ქალაქის თავკაცებთან ერთად, ესწრებოდნენ წყალმომარაგების კომპანიის ოზურგეთის ფილიალის ხელმძღვანელი დავით ცერცვაძე, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვლადიმერ ცანავა და ანასეულელი მოსახლეობის რამდენიმე წარმომადგენელი.

შეხვედრაზე ითქვა, რომ ანასეულში წყალსადენის კაპიტალური რეაბილიტაცია იგეგმება, თუმცა, ვიდრე აღნიშნული პროექტი განხორციელდება, ანასეულის მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, ყველა შესაძლებლობა უნდა იქნას გამოყენებული. ფაქტი ერთია, რომ სადღეისოდ სათავე ნაგებობიდან გამომავალი წყალი საკმარისი არ არის ორივე დასახლებისათვის. ცალკე პრობლემაა ის, რომ ამდენი ჩაჭრა-აღდგენითა და უდიერი ექსპლუატაციით დაზიანებულია ლიხაურელთა მილი, რის გამოც ადგილი აქვს ისედაც დეფიციტური წყლის დანაკარგს.

შეხვედრის მონაწილეები საბოლოოდ რამდენიმე საკითხზე შეთანხმდნენ. პირველ რიგში, აღადგენენ ლიხაურელთა მილს. წყალმომარაგების კომპანია გამოიკვლევს ექადიის წყალსაცავს, როგორც შესაძლო ალტერნატიულ ვარიანტს. ხსენებულ წყალსადენზე კაპიტალური სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე კი, ანასეული და ლიხაური წყალს გრაფიკით, 24-საათიანი მონაცვლეობით მიიღებს.

ზოგადად, ნებისმიერი კანონის დამკიცება თეორიულად გაცილებით ადვილია. ვნახოთ, ქალაქის ხელისუფლება როგორ დაამტკიცებს პრაქტიკულად ფიზიკის საყოველთაოდ აღიარებულ კანონს, რომ „ზიარ ჭურჭელში წყალი ერთ დონეზე დგას“.

სოსო ერქომაიშვილი: „მე მათ რესურსს აუცილებლად გამოვიყენებ“....

კონკურენციის გამო, ვერ მოხდვნენ თანამდებობებზე გუბერნიაში. მინდა განვაცხადო, რომ აუცილებლად გამოვიყენებთ მათ რესურს და დავეხმარებით დასაქმებაში. რაც შეეხება გუბერნიას, აქ სხვა საკადრო ცვლილებები არ იგეგმება.

–განაცხადა გაზეთ „ალიონთან“ სოსო ერქომაიშვილმა.

გუბერნიაში გამოცხადებულ ვაკანსიებზე კონკურსის შედეგად დაინიშნენ:

გუბერნიის აპარატის უფროსის მოადგილე – **ანა კიშინსკი**; მთავარ სპეციალისტი შესყიდვებში– **მარიამ დიდმანიძე;** მთავარი სპეციალისტი კვლევა - ანალიზის დარგში **ნესტორ რამიშვილი** დაინიშნა; აპარატში: უფროსი სპეციალისტი, ბუღალტერი - **თამარ გიორგაძე**, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში უფროსი სპეციალისტი – **სოფო კაშია** დაინიშნა; ტექნიკური მიმართულებით– მნე - **ბადრი კვირკველია.**

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან სამსახურის უფროსის პოსტზე **რევაზ ჯანელიძე** დაინიშნა, ხოლო უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე **გოჩა ჯაში;** სპეციალისტად **ნანი ჯახუტაშვილი –გოგელია.**

ქალაქ ოზურგეთის კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის დამატებით 480 316 ლარი გამოიყო

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11 სექტემბრის სხდომაზე მორიგი ცვლილებები და დამატებები შეიტანეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 26 დეკემბრის დადგენილებაში. კერძოდ: 2015 წლის 7 სექტემბრის საქართველოს მთავრობის №1881 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანით ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 480 316 ლარი, ქალაქ ოზურგეთის ცენტრალურ ნაწილში ტროტუარების კეთილმოწყობისათვის. შესაბამისად ქალაქ ოზურგეთის კეთილმოწყობის სამუშაოები გაიზარდა 480 316 ლარით. ეს თანხა მოხმარდება კოსტავას, ნაკაშიძის, ერისთავის, თაყაიშვილის, ვიქტორ დოლიძის, გ. ეპისკოპოსის ქუჩებზე ტროტუარების მოწყობას.

შეხვედრა მეფუტკრეებთან

ალიონი. ოზურგეთის დემოკრატიული განვითარების ცენტრში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგანტოს თავმჯდომარე **გიორგი მიშელაძემ** ადგილობრივ მეფუტკრეებს მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა გააცნო.

ამ პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა, ასევე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კაპიტალური ინვენსტირების განხორციელება, მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მეფუტკრე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომლებიც პროგრამით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ, თანადაფინანსებით გადაეცემათ მათ ბალანსზე არსებული სკების იდენტური ოდენობა, არაუმეტეს 100 სკისა.

10 ჩარჩოიანი ხის სკები კოოპერატივებს გადაეცემათ თანადაფინანსებით სკების ღირებულების 305-ის ოდენობით.

სახელმწიფო პროგრამა ამ მთვიდან დაიწყება.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ოთხ საკითხზე

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11 სექტემბრის სხდომაზე გადაწყდა, დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ოთხ საკითხზე:

– „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 ნოემბრის №34 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად;

– „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის №37 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად;

– „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად;

– „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ – მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

გულწრფელი სიყვარულით და ულრმესი პატივისცემით მოგესალმებით და გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას საჯარო სკოლების ყველა მუშაკს, მოსწავლე ახალგაზრდობას, მათ მშობლებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვინც პირველად შეაბიჯებს საკლასო ოთახებში, შმაღლეს სასწავლებლებში. წარმატება იყოს მათი თანამდევი.

თქვენ კი, ჩემო კოლეგებო, საქმიანად და წარმატებით გვევლოთ, კვლავაც ერის სასიქადულო მამულიშვილნი აღგეზარდოთ.

წარმატებული და ნაყოფიერი ახალი წელი მისურვებია.

უფლის შემწობა არ მოგკლებოდეთ. გვიგულეთ თქვენს გვერდით!

როზა გოგუაძე,

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის პედაგოგს, მოსწავლეს, მშობელს. ყველა ახალგაზრდას ვუსურვებ ჩვენი საამშობლოს ღირსეული შვილი გამხდარიყოსნ

ღმერთი იყოს თითოეული თვენთაგანის მფარველი!

გელა ჭანუყვაძე,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის განყოფილების უფროსი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის მოსწავლეს, პედაგოგს, მშობელს! ვულოცავ ახალი სასწავ;ო წლის დაწყებას. განსაკუთრებით ვულოცავ პირველკლასელებს, პირველკურსელებს.

გია მამაკაიშვილი,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. მშვიდობიანად გევლოთ ჩვენს მიერ მოწყობილ გზებზე!

შპს „გზამშენი-18“

„თავისუფალი დემოკრატების“ გურიის ლიდერის თემურ სალუქვაძის განცხადება

მივესალმები ყველაფერს, რაც ჩვენი ქალაქის ცხოვრებას გაალამაზებს! მივესალმები ყოველ სასიკეთო და რაციონალურ წინადადებას, რომელიც ოზურგეთელთა სოციალურ, თუ მატერიალურ ყოფას შემამსუბუქებს! მივესალმები ყოველ ღონისძიებას, რომელიც ოზურგეთელების ნიჭს და უნარებს გამოავლენს. ოლონდ, ბატონებო, ნუ იქნება ყოველივე ეს ხელოვნური! ნუ იქნება ძველი ტრადიციების უნიჭო გათანამედროვება! ნუ იქნება ლოკალური მხიარულება, მაშინ, როდესაც ბევრი ჩვენს გვერდით სიდუხჭირეში ცხოვრობს! ნუ აქცევთ ძირძველ საქველმოქმედო ტრადიციას ხელისუფლებისა და კარის ბიზნესმენების უგვანო პიარად!.. ოზურგეთი ყველასია! ოზურგეთი ყოველი ჩვენგანისაა!.. გილოცავთ წინასწარ ალეგრობას და ვუსურვებ ჩემს ოზურგეთს ბევრ ღირსეულ, კოლორიტ, რეალურად გულშემატკივრისა და ჭეშმარიტი ოზურგეთელების არსებობას!

მილოცვა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია მეექვსე შვილის, პატარა მარიამ ტულუშის, შემძენას ულოცავს შემოქმედის საბავშვო ბალის მუსიკის მასწავლებელს ია თოიძეს. უსურვებს ახალგაზრდა მრავალშვილიან დედას ულევ სიხარულს და უფლის მფარველობას.

ცოდნის ტაძარი გიხმობთ

ალიონი. დადგა ნანატრი დღე, დღე შეუცნობელის შეცნობისა, სექტემბრის ზარებს მოაქვს სიცოცხლისა და სიხარულის აღმფრენა. დგება მოძღვრისა და მოწაფის შეხვედრის სასიხარულო წუთები, მოძღვრისა, რომლის შესახვედრად ემზადებიან გულანთებული პატარები. და მეც ისევ მხნედ გეგებებით, ჩემო კუდრაჭებო. გავხსნი ჩემი ცოდნის კიდობანს და გაზიარებთ ძია იაკობის სიბრძნეს, რომელიც „აი ია“-თი იწყება.

თქვენი თვალებისა და გონების დაუწერელ დაფაზე მინდა აისახოს ჩვენი მზიური საქართველოს ბრძენი ადამიანების სიტყვები: „გიყვარდეთ საქართველო, გიყვარდეთ საქართველო სიცოცხლეზე მეტად.“

თქვენი სწავლითა და შრომით შეძლებთ ააღორძინოთ და გააძლიეროთ ჩვენი სამშობლო.

გილოცავთ სწავლის დაწყებას, უფლის ლოცვა-კურთხევა არ მოგკლებოდეთ!

კლარა შაფაქიძე,

ქ. ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის მასწავლებელი

საჯარო მოხელეების პროფესიონალიზმის ასამაღლებლად

ალიონი. გასულ ხუთშაბათს, 10 სექტემბერს ოზურგეთში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში გუბერნიისა და ქალაქისა და თემების მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა ჰქონდა ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას.

სკოლის დირექტორის მოადგილის გოჩა ტუღუშის თქმით, ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა საუკეთესო საშუალებაა საჯარო მოხელეთა პროფესიონალიზმის ასამაღლებლად და კრეატიული წინსვლის ხელშესაწყობად.

მანვე წარმოადგინა ის პროგრამები, რომლებსაც გაივლიან საჯარო მოხელეები ამ სკოლაში: სახელმწიფო შესყიდვების სასერთიფიკაციო პროგრამა; საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სასერთიფიკაციო პროგრამა; ფინანსური მენეჯმენტისა და შიდა აუდიტის სასერთიფიკაციო პროგრამა; საჯარო ორგანიზაციების მართვის სასერთიფიკაციო პროგრამა; ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის სასერთიფიკაციო პროგრამა; ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სასერთიფიკაციო პროგრამა;

სკოლის წარმომადგენლებმა დამსწრე საჯარო მოხელეებს გადასცეს პაკეტი, რომელშიც სრულყოფილად არის მოცემული ინფორმაციები ამ თიოეული პროგრამის შესახებ, პირველადი სარეგისტრაციო ანკეტა და 30-დღიანი ტრენინგების ღირებულება პროგრამების მიხედვით.

დამტკიცდა საპატიო მოქალაქის მინიჭების წესი და მოწმობის ფორმა

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11 სექტემბრის სხდომაზე, ბიუროზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებას. დაამტკიცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის მინიჭების წესი და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის მოწმობის ფორმა

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების ახალი ტიპური ფორმები

ალიონი. 11 სექტემბრის სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცვლილებები შეიტანა „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორების წესებისა და საჯარო აუქციონის წესით ქონების პრივატიზებისას საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2015 წლის 5 თებერვლის №11 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში.. დაამტკიცეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონებით სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების ახალი ტიპიური ფორმები.

ფერმერიდან სუფრამდე

№1 09. 2015

სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ

ზაზა დოლიძე:

„საქართველო ეტაპობრივად უახლოვდება ევროპულ კანონმდებლობას“

ინტერვიუ საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსთან

ნატო გუგელაძე
გაზეთი P.S. ძუთაისი

როგორია საქართველოს კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა სურსათის უვნებლობის რეგულირების კუთხით, რომელ ძირითად უწყებებს ევალება მოსახლეობის სურსათის უვნებლობაზე ზრუნვა და როგორ ხდება საქართველოს კანონმდებლობის მიახლოვება ევროკავშირის კანონმდებლობასთან - ამ და სხვა საკითხებზე ისაუბრა საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზაზა დოლიძემ.

- ბატონო ზაზა, რას ნიშნავს სურსათის უვნებლობა თანამედროვე სტანდარტებით და რა კრიტერიუმებია საერთაშორისო პრაქტიკით ჩამოყალიბებული?

-თანამედროვე საერთაშორისოდ აღიარებული მიდგომით, სურსათის უვნებლობა არის სრული სასურსათო ჯაჭვის, ანუ „ფერმიდან სუფრამდე“ პროცესში ფერმერის, მწარმოებლის მიერ სურსათის უვნებლობის დადგენილი მოთხოვნების დაცვა და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ადეკვატური კონტროლის განხორციელება.

საერთაშორისო პრაქტიკით, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი დაფუძნებულია რისკზე, რაც გულისხმობს საფრთხის პროპორციულ კონტროლს, მაგალითად, მაღალი რისკის სურსათი (ცხოველური სურსათი) საჭიროებს გაცილებით ხშირ კონტროლს, ვიდრე დაბალი რისკის სურსათი. საერთაშორისო პრაქტიკაში სურსათის უვნებლობის მნიშვნელოვანი კომპონენტია შიდა კონტროლის თანამედროვე სისტემები - Global Gap, GMP, GHP და HACCP, რომლის დანერგვას და მართვას ახორციელებს ბიზნესოპერატორი.

- როგორია დღეს საქართველოში კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა სურსათის უვნებლობის რეგულირების კუთხით და რამდენადაა დაცული ქვეყანაში სურსათის უვნებლობა?

- სურსათის უვნებლობის მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია როგორც საკანონმდებლო ბაზის მუდმივი სრულყოფა, ასევე, ინსტიტუციური განვითარება.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან დაახლოების პროცესში სურსათის უვნებლობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობა ეტაპობრივად უახლოვდება ევროპულ კანონმდებლობას, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი პროგრესული კანონმდებლობაა და მისი იმპლემენტაცია საქართველოს რეალობაში დიდ გავლენას მოახდენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დონის ამაღლებაზე.

რაც შეეხება საქართველოში სურსათის უვნებლობის მდგომარეობას, სურსათის ეროვნული სააგენტო არის კომპეტენტური ორგანო, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუცია-რეალიზაციის ეტაპებზე.

- საინტერესოა, სურსათის უვნებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შედარება და შეფასება - მაინც, კონკრეტულად რა კეთდება ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოვების მიზნით სურსათის უვნებლობის სფეროში.

- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო და სხვა სახელმწიფო უწყებები აქტიურად არიან ჩართულნი ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოების პროცესში, რაც გულისხმობს შესაბამისი სფეროების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებას/ცვლილებების შეტანას. ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება გულისხმობს ევროკავშირის დაახლოებით 300 სამართლებრივი აქტის მიღებას და განხორციელებას 2015 - 2030 წლებში.

- რა საკანონმდებლო ბაზა არსებობდა და არსებობს სურსათის უვნებლობის რეგულირების სფეროში და როგორია კონტროლის მექანიზმები.

- სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმია ინსპექტირება, რომელიც მოიცავს სრული საწარმოო ჯაჭვის კონტროლს - ნედლეულიდან საბოლოო პროდუქტამდე. ხორციელდება სურსათის ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევა. სარეალიზაციო ადგილებში ხდება ეტიკეტის კონტროლი, ასევე, ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტების გამოვლენა.

ცხოველთა სასაკლაოებზე ხორციელდება მუდმივი ვეტერინარული კონტროლი. სამართალდარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობის ზომებს.

- რომელი სახელმწიფო უწყებების ვალდებულებაა საქართველოში სურსათის უვნებლობის საკითხების რეგულირება, კონტროლი და მონიტორინგი?

- სურსათის უვნებლობის კონტროლს მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო, ხოლო სასაზღვრო კონტროლს - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

- როგორ ხორციელდება რეალურად აღნიშნულ სფეროში კონტროლი, რა პრობლემები არსებობს და როგორ უნდა გადაიჭრას ეს საკითხები?

- სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ბიზნესოპერატორების მონაცემთა ბაზის სრულყოფა, რაზეც მიმდინარეობს ყოველდღიური აქტიური მუშაობა.

საზოგადოებრივ ჯანმრთელობას დიდ საფრთხეს უქმნის სურსათით გარე ვაჭრობა. მართალია, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა სცილდება სურსათის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას, თუმცა, სააგენტო მზად არის, აქტიური დახმარება გაუწიოს ყველა იმ უწყებას, რომელიც ჩართულია ამ საკითხის გადაწყვეტაში.

საზოგადოების ინფორმირებულობა ძალზე მნიშვნელოვანია, იგულისხმება როგორც მომხმარებლები, ასევე სურსათის ბიზნესოპერატორები. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებთან შედარებით, წინსვლა აშკარაა, თუმცა, სამომხმარებლო კულტურა მუდმივად საჭიროებს განვითარებას..

ბამოუკითხავ

რა იციან მოქალაქეებმა „ფორმა 2“-ის შესახებ?

ფორმა #2 ხორცის კეთილსაიმედოობის დამადასტურებელი დოკუმენტია, რაც ადასტურებს რომ ხორცს გავლილი აქვს ვეტერინარული ზედამხედველობა. „ფორმა 2“-ის შესახებ სპეციალური გამოკითხვა გურიასა და იმერეთში ჩავატარეთ. როგორია გამოკითხულთა არგუმენტები და რამდენად არის მომხმარებელი ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ, გაზეთების: „გურია ნიუსისა“ და „ახალი გაზეთის“ რესპონდენტების მოსაზრებებიდან შეიტყობთ. მომხმარებელთა სრული უმრავლესობა, გარდა გამონაკლისისა, საერთოდ არ ითხოვს „ფორმა 2“-ს, არავის აინტერესებს პროდუქტის ხარისხის გადამოწმება.

მზია თავართქილაძე, ეკონომისტი, ოზურგეთის მცხოვრები: ბოლო დროს მესმის, რომ ეს არის ვეტერინარული მოწმობა, რომლის მოთხოვნის საფუძველზეც უნდა ვყიდულობდე ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ სასურსათო პროდუქციას. თუმცა, არასდროს მომითხოვია სავაჭრო ობიექტზე, რომ ეს მოწმობა ჩემთვის ეჩვენებინათ. ალბათ, წლობით „გამჯდარი“ ჩვევის და ცხოვრების წესის ბრალია. ადამიანს ყოველდღე უნდა ესმოდეს აღნიშნულის შესახებ,

აკაკი ღლონტი, მეურნე, ოზურგეთის მკვიდრი: ბევრი არაფერი ვიცი ამ „ფორმა 2“-ის შესახებ. საზოგადოებაში ვტრიალებ და არც ვინმესგან მესმის ამის შესახებ, თავს ნუ მოვიტყუებთ. აუცილებელია, საინფორმაციო საშუალებებით ვესაუბროთ ხალხს ისე, რომ ყველას გაუჩნდეს ამ ვეტერინარული მოწმობის მიმართ სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება და ადამიანი თვითონაც გახდეს პროცესების მონაწილე.

ქუთაისი, ნათია ლეთოდიანი, ექთანი: ფორმა # 2 არის ვეტერინარის მიერ გაცემული ცნობა. რომელიც საჭიროა ცხოელთა და ცხოველური პროდუქტების გასაყიდად. რაც შეეხება გამოყენებას, გეტყვით, რომ არ გამომიყენებია. ალბათ ვეტექიმმა უნდა გაცეს ეს ცნობა, რომ მოხდეს პროდუქციის გატანა ბაზარზე.

საჭირო ინფორმაცია

რას გულისხმობს ვეტერინარული მოწმობა ფორმა №2

საცალო ვაჭრობის ობიექტებში სარეალიზაციოდ განთავსებულ სურსათს თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. სურსათის თითოეულ სახეობაზე დაგენილი წესით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი ან შესაბამისობის დეკლარაცია. შესაბამისობის დეკლარაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მწარმოებლის სახელი და მისამართი;

ბ) პროდუქციის საიდენტიფიკაციო მონაცემები (დასახელება, ტიპის ან მოდელის ნომერი, პარტია და რაოდენობა);

გ) გამოყენებული სტანდარტის ან ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები და საეტიკეტო მონაცემები;

დ) დეკლარაციის შედგენის თარიღი;

ე) უფლებამოსილი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა;

ვ) განაცხადი, რომ მწარმოებელი კისრულობს პასუხისმგებლობას შესაბამისობაზე.

შესაბამისობის დეკლარაცია ქართულ ენაზე უნდა იყოს შედგენილი.

დეკლარაცია უნდა ერთვოდეს პროდუქციას, თუ ამას ითვალისწინებს ტექნიკური რეგლამენტი.

2. ტექნიკური რეგლამენტით დგინდება საქონლის ან მისი პარტიის შესაბამისობის შეფასების პროცედურები. შესაბამისობის შეფასების პროცედურები ხორციელდება შემდეგი ფორმებით:

ა) მწარმოებლის მიერ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დეკლარაციის მიღებით;

ბ) მწარმოებლის მიერ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან კონკრეტული პროდუქციის შესაბამისობის შეფასების მიზნით აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოსთვის წარდგენით.

3. შესაბამისობის შეფასება ნებაყოფლობითია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. ხორცის თითოეულ პარტიაზე საჭიროა-ვეტერინარული მოწმობა ფორმა №2.

შენიშვნა: დანართი მომზადებულია საქართველოს კანონის "სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი" მიხედვით

პირუტყვის დაცემის მიზეზი უცნობია

ცოტნე მუსელიანი
გაზეთი „სვანეთი„ ლენტეხი

ზაფხულის განმავლობაში ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხვარლამეზირში, სადაც 10-მდე ოჯახი ცხოვრობს, მეურნეებს მსხვილფეხა პირუტყვი გაუწყდათ. მიზეზი ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, რადგან ხორცი არ გამოუკვლევიათ.

დაცემული პირუტყვის მეპატრონეების უმრავლესობა აცხადებს, რომ ცხოველებს გარეგნულად ნადირის თავდასხმის კვალი არ ეტყობოდათ, გეგმიური ვაქცინაციაც ჩატარებული ჰქონდათ და მათთვის გაუგებარია პირუტყვის დაღუპვის მიზეზი. მათ არ მიმართეს სურსათის ეროვნული სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს სპეციალისტებს ლენტეხში, რომელთაც შეეძლოთ ცხოველის ლეშიდან გამოსაკვლევი მასალის აღება და ლაბორატორიაში გამოსაკვლევად გაგზავნაში დახმარება. როცა ზოგიერთ მათგანს შევეკითხეთ, თუ რატომ არავის მიმართეს, მათ კითხვითვე გვიპასუხეს: ,,რა აზრი ჰქონდაო“.მოსახლეობამ არ იცის რა საფრხის მატარებელია საქონლის დაავადებები და რამდენად მნიშვნელოვანია დრული გამოკვლევა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, სურსათის ეროვნული სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს უფროსმა ბატონმა გაბრიელ ჩიკვაიძემ განგვიმარტა:

რამდენიმე წელია სახელმწიფო პროგრამის დაფინანსებით ხორციელდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გეგმიური პროფილაქტიკური ვაქცინაცია ისეთ საშიშ დაავადებებზე, როგორიცაა ჯილეხი და თურქული, ხოლო სხვა დაავადებების პროფილაქტიკაზე მეურნემ თუ ფერმერმა ჯერჯერობით თავად უნდა იზრუნოს. პირუტყვის დაცემის შემთხვევაში კი მეურნემ კერძო ვეტერინარს უნდა მიმართოს და თუ კერძო ვეტერინარი ჩათვლის, რომ საჭიროა ცხოველის ლეშის გამოკვლევა, რათა აცილებულ იქნას რომელიმე საშიში ინფექცია, მაშინ ის მიმართავს სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებს. გამომდინარე იქიდან რომ მთიან რეგიონებში კერძო ვეტერინარი ექიმების მწვავე დეფიციტია, მეურნეს შეუძლია პირდაპირ სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებს მიმართოს და ისინი ჩაატარებენ სადეზინფექციო სამუშაოებს, ხოლო თუ მათ გაუჩნდებათ საფუძვლიანი ეჭვი, რომ საქმე გვაქვს საშიშ დაავადებასთან, ამ შემთხვევაში ისინი ცხოველის ლეშიდან აიღებენ პათოლოგიურ მასალას და გაგზავნიან გამოსაკვლევად ლაბორატორიაში. მნიშვნელოვანია, რომ პირუტყვის მეპატრონემ დაუყოვნებლივ მიმართოს სპეციალისტებს, რადგან ლეშის ხრწნის შედეგად (განსაკუთრებით გარემოს მაღალი ტემპერატურის პირობებში) ლაბორატორიაში პირუტყვის დაცემის მიზეზის დადგენა რთულდება.

უსაფრთხო პროდუქტი

ხუთი გასალების პრინციპი უვნებელი სურსათისათვის

მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციამ (WHO) უკვე დიდი ხანია გააცნობიერა საჭიროება იმისა, რომ სურსათის უვნებლობის სფეროში უნდა მოხდეს საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარება სურსათთან შეხებაში მყოფი პირების პასუხისმგებლობის შესახებ.

სურსათის ექსპერტებთან და რისკის კომუნიკატორებთან ერთად თითქმის ერთ-წლიანი კონსულტაციების შემდეგ მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციამ (WHO) 2001 წელს წარმოადგინა პლაკატი «ხუთი გასალების პრინციპი უვნებელი სურსათისათვის». ეს «ხუთი გასალების პრინციპი უვნებელი სურსათისათვის» მოიცავს ყველა იმ მესიჯს, მსოფილო საზოგადოებას ეხმარება უფრო ჯანსაღი და უვნებელი პროდუქტის წარმოებითა და ჰიგიენური მომზადებით შეინარჩუნოს ჯანმრთელობა.

უმთავრესი მესიჯი ან გზავნილი ამ "ხუთი გასალების პრინციპისა უვნებელი სურსათისათვის" წარმოადგენს შემდეგს:

1) დაიცავით სისუფთავე;
2) განაცალკევეთ უმი, ანუ დაუმუშავებელი და მომზადებული საკვები;
3) საჭმლის მომზადებისას პროდუქტებმა უნდა გაიაროონ სათანადო თერმული დამუშავება;
4) სურსათის შენახვის დროს დაიცავით უვნებელი ტემპერატურული რეჟიმი;
5) გამოიყენეთ უვნებელი წყალი და სასურსათო ნედლეული.

აღნიშნული პლაკატი ითარგმნა 40-ზე მეტ ენაზე და იგი გამოიყენება "მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის" (WHO) მიერ სურსათის ჰიგიენასთან დაკავშირებული ზემოთმოყვანილი მესიჯების გასავრცელებლად მთელ მსოფლიოში.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
SWEDEN
GRMA
გვერდი მომზადებულია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დაფინანსებით, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტების ფარგლებში. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები. სტატიები არ გამოხატავს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

მომხმარებელს უფლება აქვს იცოდეს, რას ყიდულობს

თამარ თოთაძე, „სამხრეთის კარიბჭე„ ახალციხე.

მას შემდეგ, რაც პირველი აგვისტოდან რძის ნაწარმის რეალიზაციაზე კონტროლი გამკაცრდა, სურსათის ეროვნული სააგენტოს სამცხე–ჯავახეთის რეგიონულმა სამმართველომ რძისა და რძის ნაწარმზე მონიტორინგის დროს 28 ობიექტი გააფრთხილა და ეტიკეტირების წესის დარღვევის 7 ფაქტი გამოავლინა.

2015 წლის პირველი აგვისტოდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის N152–ე დადგენილება „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც მიზნად ისახავს რძისა და რძის ნაწარმის, რძის შემცველი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის პრინციპების განსაზღვრას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

ახალი რეგულაციების მიხედვით, სურსათის ეტიკეტზე დასახელება: რძე, მშრალი რძე, არაჟანი, მაწონი, ხაჭო, კარაქი და სხვა გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ რძის ნაწარმზე. ხოლო იმ შემთხვევაში თუ რძისა და რძის ნაწარმის შემადგენლობაში დამატებული იქნება მცენარეული ცხიმები, ასეთი სურსათის შეფუთვაზე უნდა ეწეროს რძის შემცველი პროდუქტი. მაგალითად არაჟნისებრი ან არაჟნის მსგავსი, კარაქისებრი ან კარაქის მსგავსი.

„სამხრეთის კარიბჭე“ დაინტერესდა რას ფიქრობს მომხმარებელი ახალ რეგულაციებზე და რა უფრო მნიშვნელოვანია მათთვის პროდუქციის ფასი თუ შემადგენლობა.

გამოკითხული რესპონდენტები ერთხმად ამბობენ, რომ ეტიკეტზე აუცილებლად უნდა იყოს მითითებული რისგან არის დამზადებული ესა თუ ის პროდუქტი. რძისა და რძის ნაწარმის შეძენისას მომხმარებელთა ნაწილი ყურადღებას პროდუქტის შემადგენლობაზე ამახვილებს, ნაწილი კი ფასის მიხედვით ყიდულობს.

„ყოველთვის მნიშვნელოვანია რისგან არის დამზადებული პროდუქტი. ფასი არასდროს არ განაპირობებს მის ვარგისიანობას, მისი გადამოწმება აუცილებელია, უნდა იყოს მითითებული გამოშვების ვადა, სასურველია იყოს ნატურალური რძისგან დამზადებული, თუ მცენარეული ცხიმისგანაა დამზადებული, ფასიც ნაკლები უნდა იყოს. თუ ჯანსაღი კვება გინდა, უნდა იყოს ნატურალური, ნამდვილი რძის პროდუქტები უფრო ეფექტურია“,– ამბობს ადგილობრივი ნანა გიგუაშვილი. ის უპირატესობას ქარხნული წესით დამზადებულ პროდუქტს ანიჭებს, რადგან სოფლიდან ჩამოტანილი პროდუქციას არ გააჩნია არანაირი სერთიფიკატი, რომელიც მის შემადგენლობაზე მიუთითებს.

„აუცილებელია ეტიკეტზე პროდუქტის შემადგენლობის მითითება. მე ბავშვებისთვის ვყიდულობ არაჟანს, მაწონს და უნდა ვიცოდე ნატურალური რძისგან მზადდება თუ მცენარეული ცხიმისგან“,– აღნიშნავს მზია ინასარიძე.

ახალციხეში, ივერიელის ქუჩაზე მდებარე ერთ–ერთი მაღაზიის მეპატრონე ამბობს, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში რძის ნაწარმზე ფასმა დაახლოებით 20 თეთრით მოიმატა.

„მაგალითად მაწონს 1,50 ლარად ვყიდდით, ახლა 1,70 ლარი ღირს. მყიდველიც ნაკლებია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ფასებმა მხოლოდ რძის ნაწარმზე მოიმატა, თითქმის ყველა პროდუქტი გაძვირდა“, – განმარტავს მაღაზიის მეპატრონე მარინა ჩამანიანი.

ახალციხის ბაზარში მოვაჭრე გამყიდველების ნაწილს ახალი რეგულაციების შესახებ ინფორმაცია არ აქვს, ნაწილი კი ამბობს, რომ კარგია თუ ქარხნულ პროდუქტს ზუსტი შემადგენლობა დაეწერება, რადგან მომხმარებელი უპირატესობას ნამდვილ რძესა და რძის ნაწარმს ანიჭებს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს სამცხე–ჯავახეთის რეგიონული სამმართველო რძისა და რძის ნაწარმზე მონიტორინგს მთელი რეგიონის მასშტაბით ახორციელებს. მას შემდეგ, რაც ახალი რეგულაციები ამოქმედდა, სამმართველომ 28 ობიექტი გამოავლინა. აქედან ეტიკეტირების წესის დარღვევის 7 ფაქტი დადასტურდა. აღნიშნულ შემთხვევებში ეტიკეტზე ინფორმაცია არასწორად იყო მითითებული.

„არის შემთხვევები, როცა სახელწოდება კარაქი აწერია, მაგრამ ეტიკეტზე მითითებულია, რომ დამზადებულია მცენარეული ცხიმისგან. ეს უკვე დარღვევაა, – განმარტავს სურსათის ეროვნული სააგენტოს სამცხე–ჯავახეთის სამმართველოს უფროსი ლია ბექაური და ამატებს, რომ თუ პროდუქტი დამზადებულია მცენარეული ცხიმისგან, ეტიკეტზე აუცილებლად უნდა ეწეროს სიტყვა „მსგავსი“, – „კანონი ბიზნესოპერატორებს საშუალებას აძლევს, რომ 2016 წლის 1 აგვისტომდე პროდუქტზე გამოიყენონ სიტყვა მსგავსი, თუ ის არის დამზადებული მცენარეული ცხიმისგან და არა რძისგან ან რძის ნაწარმისგან“.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74–ე მუხლის მიხედვით, სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტირების წესის დარღვევა იწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით, იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით 1 წლის განმავლობაში კი იწვევს დაჯარიმებას 1 200 ლარის ოდენობით. საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარის ნინო ზამბახიძის თქმით, ახალი რეგულაციების ამოქმედების შემდეგ აღმოჩნდნენ ისეთი ბიზნესოპერატორებიც, რომლებიც დაკისრებულ ვადებულებებს არ ასრულებდნენ.

„როგორც ვიცი, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ამოღებულია პროდუქცია, ჯარიმაზე გავიდა რამდენიმე ორგანიზაცია და შესაბამისად, თუ განმეორდა მსგავსი ფაქტები, ამ საწარმოებს დახურვაც ემუქრებათ. ანუ ის მოთხოვნა, რომ ბიზნესოპერატორები ვალდებული იყვნენ სრულად დაეწერათ ეტიკეტზე თუ რას შეიცავდა მათ მიერ წარმოებული პროდუქცია, რიგ შემთხვევაში, შესრულებული იყო“, – ამბობს ნინო ზამბახიძე და განმარტავს, რომ ყოველივე ეს იმ ბიზნესოპერატორების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს.

„მოსახლეობას, რომელიც ძალიან მაღალ თანხას იხდის პროდუქციაში, უფლება აქვს იცოდეს რას ყიდულობს“, – ამბობს ნინო ზამბახიძე.

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“

ნილს ბორი (1885-1962). XX საუკუნის ფიზიკოსებს შორის ყველაზე დიდი აღიარება აინშტაინს ხვდა წილად, შემდეგ კი – ნილს ბორს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მაქს ბლანკის მიერ 1900 წელს შემუშავებულ კანტური ფიზიკის კონცეფციის განმტკიცებაში, ასევე მოხსნა ელექტრონების ქცევის პრობლემები რეზერფორდის ატომურ სტრუქტურაში და ჩართული იყო პირველი ატომური ბომბის შექმნაში.

ახალზელანდიელმა ფიზიკოსმა იმ დროისათვის „პლანეტარული“ მოდელი ჩამოაყალიბა, რის მიხედვითაც, მცირე ცენტრალურ ნაწილაკს მეტი წონა გააჩნია, ელექტრონები კი სხვადასხვა ორბიტაზე ტრიალებენ.

„ელექტრონები მხოლოდ ფიქსირებულ ორბიტებზე არსებობენ და ისინი არ გამოყოფენ ენერგიას“.

ბორის თეორიულ და პრაქტიკულ ჩართვას ფიზიკაში უდიდესი გავლენა ჰქონდა ატომური ბომბის შექმნაში. 1939 წელს მან განავითარა ბირთვის გახლეჩვის თეორია (მძიმე ატომის ბირთვის გაყოფით ენერგიის დიდი რაოდენობით გამოყოფა, რაც საჭიროა ატომური ბომბისათვის ჯონ არჩიბალდ ველერთან (დაბადებული 1911 წელს) ერთად, თავის ნაშრომში „სითხის წვეთი“ (1936 წ) ბირთვში პროტონებისა და ნეიტრონების განლაგების აღწერით, იგი ავისმომასწავებლად მიხვდა, რომ ურანი-235-ის იზოტოპი უფრო კარგად ექვემდებარებოდა გაყოფას, ვიდრე ურანი-238, რომელიც ძირითადად გამოიყენებოდა ექსპერიმენტებში. საბოლოოდ მისმა აღმოჩენამ გზა მისცა აშშ ატომური ბომბის პროექტს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ბორი ამერიკაში ოკუპირებული დანიიდან ჩავიდა და მეცნიერთა გუნდში კონსულტანტად მუშაობა დაიწყო.

1922 წელს ბორი, ფიზიკაში მიღწეული წარმატებისთვის, ნობელის პრემიით დაჯილდოვეს.

ერვინ ბროდინმერი (1887-1961). ავსტრალიელმა მეცნიერმა განავითარა ე. წ. „ტალღური მექანიკის“ მიმდინარეობა ფიზიკაში.

„ნაწილაკების იდეის უარყოფით, ბროიდერი ამტკიცებდა, რომ ყველაფერს ტალღის ფორმა აქვს“.

ამ თეორიის მიხედვით, მატერია არ არსებობს ერთ გარკვეულ ადგილას, არამედ ყველგანაა, სანამ ვინმე არ გაზომავს მას. ამ პრინციპებიდან გამომდინარე, განტოლებები საუკეთესოდ ასახავდა მატერიის პოვნის შესაძლებლობას მოცემულ ადგილზე, მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ეს კონცეფცია ითვლება ადეკვატურ და ფართოდ მიღებულ ახსნად.

ანდრიან მორის დირაკმა კვანტურ მექანიკაზე ბროდინმერის ტალღური თეორიის დამტკიცებით, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა და ალტერნატიული "შესაძლებელი ინტერპრეტაცია“ წარმოადგინა. 1933 წელს ბროდინმერმა, დირაკთან ერთად, ნობელის პრემია მიიღო.

ენრი მოზლი (1887-1915). მიუხედავად იმისა, რომ 28 წლის ასაკში გალიპოლიში მოჰკლეს, მოსლიმ გამოჩენილ მეცნიერთა შორის საკუთარი ადგილის დამკვიდრება მოასწრო. მომავალი გენიის პოტენციალი ერთმა გასროლამ დაასრულა თურქეთში, პირველი მსოფლიო ომის დროს.

მოზლის კანონის (პრინციპი X სხივების სიხშირისა და ელემენტების რიცხვს შორის კავშირისა) მიხედვით, მენდელეევის პერიოდულ სისტემაში მისი აღმოჩენის შედეგად, გამოჩნდება რამდენიმე გამოტოვებული ელემენტი. მას შეეძლო განესაზღვრა ამ ელემენტთა ატომური რიცხვები, წონა და პოზიცია ცხრილში. მომავალში გამოტოვებული ელემენტები აღმოაჩინეს და შესაბამისი ადგილები მიაკუთვნეს.

მოამზადა
გურამ ცერცვაძემ.

სკანვორდი



№33-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ჭაბუა ამირეჯიბი; ტყვიის და სპილენძის მადანი – ბურნონიტი; ყველაზე დიდი წყალსაცავი – კარიბა; მთები აზიაში – ჰიმალაი; რიცხვი – რვა; ქალი ბანქოში – დამა; ყოფილი ინგლისელი ფეხბურთელი – ლი; იტალიელი ფერმწერი – ბოტიჩელი; წუხილი – ურვა; რუსული ავტომობილი – ლადა; ნოტი – მი; ყვავილი – ია; მდინარე აბასთუმანში – ოცხე; ფულის ერთეული ბრაზილიაში – რეალი; მდინარე ციმბირში – ნია; დიდი ჩანთა – ხალთა; ქალის სახელი – მაია; სინანულით შეძახილი – უი; სიარული – რონინი; თვალის რქოვანი გარსის ანთება – პანუსი; სუბტროპიკული მცენარე ჩაი; მიჯნა – სამანი; დათვის წინა კიდური – თათი; ოფიციალური საანგარიშო ფურცელი – ავიზო; დიდი ზომის ჭურჭელი – ბიდონი; ქართული რაგბი – ლელო; ნახშირბადის ალიტროპული სახეობა – ალმასი; დახურული სივრცის შიში – კლაუსტროფობია; ძველი ქართული წონის ერთეული – თუხტი; მიჯრით – ზედიზედ; პურის სოკო – ობი; სამიანი ნარდში – სე; სალექსო ფორმა – სონეტი; ცურვის სტილი – ბრასი.

„მაკბეტი" ოზურგეთის თეატრში



13 სექტემბერს ოზურგეთის თეატრში პრემიერით გაიხსნა ახალი, 148-ე თეატრალური სეზონი. იონესკოს „მაკბეტის" მისეული ვერსია წარმოგვიდგინა რეჟისორმა ზურაბ სიხარულიძემ. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც პრემიერამდე ჩაიწერა.

— ბატონო ზურაბ, ორიოდე სიტყვით თქვენს შესახებ გვიამბეთ.

— თბილისიდან ვარ, ცოტა ხანი უცხოეთშიც ვიმოღვაწევე, ბოლო 16 წელი - თურქეთში. ორი წელიწადია დავბრუნდი და დავუბრუნდი ქართული თეატრს, ამჯერად ვარ მესხეთის თეატრის მთავარი რეჟისორი და ამავე დროს, ჯერ-ჯერობით ვარ თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, აგრეთვე თბილისის თეატრალურ უნივერსიტეტში მყავს პატარა, ორ კაციანი ჯგუფი. თურქეთიდან გამომყვენენ ჩემი მოწაფეები და აქ პირველად ჩვენი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ისტორიაში უცხოელები სწავლობენ სამაგისტრო პროგრამას.

— ბატონო ზურაბ, ოზურგეთის თეატრისათვის რომელი ავტორი და სპექტაკლი შეარჩიეთ?

— ოზურგეთის თეატრში სამხატვრო ხელმღვანელის, ვასო ჩიგოგიძის მოწვევითა და შემოთავაზებით დავდგი სპექტაკლი „მაკბეტი" ეჟენ იონესკოს პიესის მიხედვით.

ეს სპექტაკლი დავდგი ფოთში, სადაც შევხვდით ჩვენ და ეტყობა ბატონი ვასოსათვის აღმოჩნდა საინტერესო, რომ მისი თეატრი ასეთი ხასიათის ნაწარმოებს შეხებოდა. ჩემთვისაც საინტერესო შეთავაზებაა, ჯერ ერთი, გურული ვარ, ჩოხატაურიდან და მაქვს გურიის ვალი. აქ არასოდეს დამიდგმია სპექტაკლი. თან მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოებზე ვიმუშავე ფოთშიც, თურქეთშიც, თან არ მიყვარს ერთ ნაწარმოებს ხშირად მოვკიდო ხელი, მაგრამ ამ პიესას აქვს თვისება — ჩემთვის დროთა განმავლობაში იცვლის სახეს, აგებულებას, სხვადასხვა დატვირთვა ეძლევა ეპოქის მიხედვით.

ეს არის აბსურდის თეატრი, ეჟენ იონესკუ უკიდურესი აბსურდის თეატრის მწერალია, მან ანტითეატრიც კი დაარქვა თავის ნაწარმოებებს. ეს არის მეოცე საუკუნის სტილისტიკა, უკვე კლასიკად ქცეული, მაგრამ ნაკლებად ნაკლებად არის აპრობირებული ქართული თეატრის პერიფერიულ ნაწილში.

ოზურგეთის თეატრში სხვა ხალხი, სხვა ტემპერამენტი, სხვა აზროვნების მიმართულება ცვლის ნაწარმოებს და ახლიდან ვხვდებით მის სიკეთეს. ეს არის ჩვენი დღევანდელობის და სამწუხაროდ, მოწყობილობის გამოძახილი.

— როგორც პედაგოგს, მინდა გკითხოთ, სადღეისოდ რატომ ენიჭება უპირატესობა რეპეტიციების პირდაპირ სცენაზე დაწყებას, სამაგიდო რეპეტიციების გამოტოვებით?

— პირველ რიგში, შეგისწორებთ, მე პედაგოგი ვარ სასწავლებელში და არა თეატრში. აქ მე ვარ დამდგმელი რეჟისორი. აქ არ ვხელმძღვანელობ პედაგოგიკით. აქ მაქვს საქმე პროფესიონალებთან. ეს სხვადასხვა რამეა. კი, ჩემს ნამუშევრებში სჭვივის ხოლმე ჩემი პედაგოგიური ოცდახუთმეტწლიანი სტაჟი, მაგრამ აქ საუბარია მხოლოდ დადგმაზე.

შეიძლება ვთქვა, რომ ჩემი რეჟისურის დასაწყისშივე, ოცი წლის წინ, მე მაგიდაზე უარი ვთქვი. ვიყენებ სტანისლავსკის „ქმედითი ანალიზის მეთოდს" ანუ ვიწყებთ რაღაცას და ვაგებთ. შეიძლება ქმედებას ეწინააღმდეგება ტექსტი, დრამატურგია. ვუბრუნდებით სამაგიდო რეჟიმის, შემდეგ ვაგრძელებთ სცენაზე. მხოლოდ პირველ დღეს ვსაუბრობთ მაგიდასთან, შემდეგ კი წინასწარ შეთანხმებულ მონაკვეთებზე ვმუშაობთ სცენაზე. მიხედავად იმისა, რომ სანახევროდ გაურკვეველი სიტუაციაა, პირველად სცენზე, ტექსტით ხელში, მინდა ვთქვა, რომ ოზურგეთელები საკმარისად ადვილად მომყვებიან, საერთო დონე ძალიან კარგად გამოიყურება და პრემიერას ოზურგეთი კარგად მიიღებს.

ლია კილაძე,
თეატრის საზოგადოებასთან ურთიერობის სამსახური

მილოცვა

საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ოზურგეთის ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერს, საუკეთესო მეუღლეს, საუკეთესო მამას და ასევე საუკეთესო მეგობარს **ომარ ბაკურაძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიკეთესა და სიხარულს, წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ოზურგეთის ორგანიზაცია.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ოზურგეთის ა(ა)იპ „სერვისცენტრს" გააჩნია ცხოველების იზოლატორი, სადაც დაჭერილია და დროებით მოვლა-შენახვის მიზნით გაცემულია შესაბამისი ხელშეკრულებით 13 სული ცხენი და ერთი ძროხა დროებით მეპატრონეებზე.

გავიდა ერთი წელი. იმ პირებს, რომლებიც დაინტერესდებით ამ საკითხით,დაკარგული გყავთ ცხენი ან ძროხა (ფითელი ფერის), გთხოვთ მოგვმართოთ ოზურგეთის „სერვისცენტრში."

მისამართი: **ქ. ოზურგეთი, გურამიშვილის ქ. №24; ტელ (551) 034 000.**

ლეო ანთაძე ოზურგეთში



ალიონი. გასულ კვირაში გურიას ცნობილი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, ლეო ანთაძე სტუმრობდა. მისი საქართველოს რეგიონებში მოგზაურობა სასცენო მოღვაწეობის 60 წლისთავს ეძღვნება.

მან ორი სპექტაკლი გამართა გურიაში: დაბა ურეკის კულტურის სახლში და ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მცირე სცენაზე.

მსახიობმა ვაჟა-ფშაველას მიხედვით ინსცენირებული „ბახტრიონი" წარმოადგინა.

— „ბახტრიონი" თავდაპირველად ერთხელ, ინსტიტუტის დამთავრებისას სადიპლომო ნამუშევრად წარმოვადგინეთ. ათეული წლების შემდეგ, გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა თბილისში არ იყო შუქი, არ მუშაობდა ტრანსპორტი, საცხოვრებელი კორპუსის მე-15 სართულზე, სადაც ჩემი ბინაა, პურს და წყალს რომ ავიტანდი კიბეებზე, ჩავწვებოდი საწოლში და ვაჟა ფშაველას „ბახტრიონზე" ვმუშაობდი. ასე შეიქმნა ეს მონო სპექტაკლი. იმერეთში ვიყავით, ახლა გურიაში ვართ. აქედან აჭარაში მივდივართ. მინდა ეს სპექტაკლი საქართველოს ყველა კუთხეში ნახონ —თქვა ჟურნალისტებთან ლეო ანთაძემ.

ვაჟა აზარაშვილი: „გურულებს შესანიშნავი კომპოზიტორი გყავდათ"

ალიონი. გასულ ხუთშაბათს, საქართველოს სახალხო არტისტის ლეო ანთაძის ბენეფისს ოზურგეთის თეატრში ცნობილი კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი ესწრებოდა.

სპექტაკლის შემდეგ ვაჟა აზარაშვილი გაზეთ „ალიონს" ესაუბრა:— ოზურგეთს ჰყავდა კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე. იონა ტუსკია ჩემი მასწავლებელი იყო კონსერვატორიაში.

შესანიშნავი კომპოზიტორი იყო იოსებ კეჭამაძე. რამდენადაც ვიცი, იგი გურული-ხალხური სიმღერების ცნობილ მგალობელთა შთამომავალი იყო. ისიც კონსერვატორიაში ჯერ პროფესორ იონა ტუსკიას, შემდეგ დავით თორაძის ხელმძღვანელობით სწავლობდა. შესანიშნავი გუნდების და საორკესტრო და ვოკალურ-სიმფონიური ნაწარმოებების ავტორი იყო.

გუნდები მაინც განსაკუთრებული ჰქონდა. რომელი ერთი ჩამოვთვალო მისი საგუნდო ციკლებიდან შექმნილი ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ანა კალანდაძის ლექსებზე, ქართულ ხალხურ მითოლოგიურ პოეზიაზე შექმნილი ნაწარმოებები.

მან ზაქარია ფალიაშვილის მუსიკის მიხედვით შექმნა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი („თავისუფლება"). თქვენ ასეთი კომპოზიტორით უნდა იამაყოთ.



ხსოვნა

მურმან მკურნალიძე

მამა! თბილო და ტკბილო, დიდო ტკივილო!!!

გაირბინა უშენოდ და შენზე ფიქრით 17-მა წელმა... დაგვემშვიდობე და წადი... გადადი, სახე იცვალე და უცბად... შეიქმნა სიცარიელე, რომელსაც შენი მონატრება ჰქვია!

გეფერებით მარადიულ გზაზე მდგარს, ვლოცულობთ შენთვის. უფალს ებარებოდე.

შენი **მაკა.**

ნანი ბაქანიძე

ჩვენო საყვარელო ნანი ბებო!

ერთი წელი გავიდა, რაც შენმა სულმა სხეული დატოვა და ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლა. ცრემლი არ შეშრობიათ ჩვენებს. დარდით სავსეა შენგან გულმოკლული, შენი მეუღლე ილო ბაბუ, შენი შვილები და ჩვენც რა თქმა უნდა.

თამუნა, ნიკა, ეკა, ირაკლი.

განცხადება

იყიდება 400-კაციანი საბანკეტო დარბაზი ოზურგეთის ცენტრში. ტელ. 593 95 61 83.

ძვირფასო მოსწავლეებო, სტუდენტებო, პედაგოგებო, მშობლებო, ყველას, ვინც გულმოდგინეთ ჩაერთვეთით სწავლის პროცესში, გულითადად გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ღრმად ვწამს, რომ ჩვენი შვილები მაქსიმალურად გამოიყენებენ ყველა იმ სიკეთეს, რასაც დღეს ვთავაზობთ ცოდნის დაუფლებისა და გაღრმავებისათვის. დღეს ახალი ალით განახლდება ყოველდღიური შრომა ქვეყნის სიძლიერის განსამტკიცებლად. გისურვებთ წარმატებებს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში. ახალი სასწავლო წლის დაწყებას განსაკუთრებით ვულოცავ მათ, ვინც პირველად შეალო სკოლის კარი. წარმატებულ, საინტერესო და ნაყოფიერ სასწავლო წელს გისურვებთ.

ულრმესი პატივისცემით,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
დიმიტრი კვერღელიძე

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!
განსაკუთრებით მინდა მივულოცო ეს დღე პირველკლასელებს და მათ, ვინც წელს პირველად შეაღებს უმაღლესი სასწავლებლების კარს!
ვულოცავ ყველა პედაგოგს!
ვულოცავ ყველა მოსწავლეს!
გისურვებთ წარმატებებს და რაც მთავარია, მშვიდობიან და ღირსეულ საქართველოში ცხოვრებას!

თეიმურ სალუქვაძე
„თავისუფალი დემოკრატების„ გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე



ყველა მოსწავლეს, მასწავლებელს, სკოლების ადმინისტრაციასა და მშობლებს ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! განსაკუთრებულად ვულოცავ პირველკლასელებს, იმ პატარა მოსწავლეებს, რომელთაც წელს პირველად შედგეს ფეხი სკოლაში და ყოველთვის ემახსოვრებათ ეს დღე და ეს გარემო. ვუსურვებ ამაღლებული განწყობა მთელი წლის განმავლობაში გაჰყვეთ და მჯერა, რომ ისინი საკუთარი მიღწევებით გაგვახარებენ!

პატივისცემით, მაიზერ ცელაძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური სამსახურის უფროსი

შპს. „ვასაძის პუნი“ გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!

ქ. ოზურგეთი,
გაბრიელ ეპიკოპოსის ქ. №1

„როიალ გაზი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას

საუკეთესო საწვავი ავტომანქანებისათვის!
ქ. ოზურგეთი, თაყაიშვილის ქუჩა; (მანქანათმშენებელი ქარხნის წინ)

სს „ტრანსსერვისი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

ტაქსი გამოძახებით: (0496) 275544; 07900554455

სს „იმედი“ გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!

გვეწვიეთ, ჩვენთან სასწავლო ნივთების ფართო არჩევანია!

7 დღის ამინდის პროგნოზი

ელ-ჭექი, +18+25	მზე +18+25	მზე, ღრუბელი +13+23	მზე, ღრუბელი +16+22	მზე, ღრუბელი +15+22	წვიმა +15+21	ელ-ჭექი, +16+21
14 სექტემბერი ორშაბათი	15 სექტემბერი სამშაბათი	16 სექტემბერი ოთხშაბათი	17 სექტემბერი ხუთშაბათი	18 სექტემბერი პარასკევი	19 სექტემბერი შაბათი	20 სექტემბერი კვირა